

[2008 წლის 30 მაისს აქციონერთა საერთო კრებაზე განსახილველი პროექტი]

სააქციო საზოგადოება  
„საქართველოს ბანკი“

შ ე ს ღ ე ბ ა  
(ახალი რედაქცია)

თბილისი  
2008

# სს „საქართველოს ბანკის“ წესდება

## სარჩევი

|   |    |
|---|----|
| მუხლი 1   |    |
| ზოგადი დებულებები .....                                     | 2  |
| მუხლი 2   |    |
| საქმიანობის საბანი.....                                     | 2  |
| მუხლი 3   |    |
| საწესდებო კაპიტალი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები ..... | 3  |
| მუხლი 4   |    |
| „ბანკის“ აქციონერები .....                                  | 4  |
| მუხლი 5   |    |
| მოგების განაწილება და ზარალის ანაზღაურება.....              | 5  |
| მუხლი 6   |    |
| „ბანკის“ მართვა .....                                       | 6  |
| მუხლი 7   |    |
| აქციონერთა სამართო კრება.....                               | 6  |
| მუხლი 8   |    |
| სამეთვალყურეო საბჭო.....                                    | 8  |
| მუხლი 9   |    |
| ღირებულებები.....   | 11 |
| მუხლი 10  |    |
| აუდიტის კომიტეტი და შიდა კონტროლი .....                     | 12 |
| მუხლი 11  |    |
| გარიგებები დაკავშირებულ პირებთან .....                      | 13 |
| მუხლი 12  |    |
| კონფიდენციალურობა .....                                     | 13 |
| მუხლი 13  |    |
| „ბანკის“ საქმიანობის შემოწმება.....                         | 14 |
| მუხლი 14  |    |
| ფილიალები.....  | 14 |
| მუხლი 15  |    |
| დასკვნითი დებულებები.....                                   | 14 |

## მუსლი 1

### ზოგადი დებულებები

- 1.1 სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“), როგორც უნივერსალური კომერციული ბანკი, დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის №288 დადგენილების „სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფოს საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულების "პრივატიზაციის პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ" და 1991 წლის 2 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" კანონის (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) საფუძველზე.
- 1.2 „ბანკი“ არის იურიდიული პირი. „ბანკის“ უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე „წესდებით“, საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით და საქართველოს ყველა სხვა შესაბამისი კანონით.
- 1.3 „ბანკს“ აქვს საფირმო სახელწოდება, ბეჭედი, ლოგო და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები:
  - სრული დასახელება ქართულად: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;
  - სრული დასახელება ინგლისურად: Joint Stock Company Bank of Georgia.
- 1.4 „ბანკის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი 0105, პუშკინის ქ. №3;
- 1.5 „ბანკის“ საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია.
- 1.6 „ბანკის“ სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. ის შეადგენს 12 თვეს, იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს.
- 1.7 „ბანკის“ შექმნის მიზანია: არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება.
- 1.8 „ბანკს“ გააჩნია განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში.
- 1.9 „ბანკს“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) საქართველოსა და უცხოეთში.
- 1.10 „ბანკი“ პასუხს არ აგებს მისი აქციონერების ვალდებულებებზე, ხოლო აქციონერები „ბანკის“ ვალდებულებებზე პასუხს აგებენ „ბანკის“ საწესდებო კაპიტალში თავიანთი შენატანის ფარგლებში.

## მუსლი 2

### საქმიანობის საბანი

- 2.1 „ბანკი“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს 1994 წლის 28 ოქტომბრის „მეწარმეთა შესახებ“ (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) და 1996 წლის 23 თებერვლის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) საქართველოს კანონებით, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით, ინსტრუქციებითა და სხვა მითითებებით, დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურებით, საბანკო ლიცენზიებზე თანდართული პირობებითა და შეზღუდვებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით და ამ წესდებით. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ამა თუ იმ მიმართულების საბანკო საქმიანობისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესი, „ბანკი“ იმოქმედებს საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად.
- 2.2 „ბანკი“, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ეწევა საკრედიტო, საფინანსო, საანგარიშსწორებო, საკასო და სხვა საბანკო მომსახურებას, მათ შორის:
  - 2.2.1. პროცენტისა და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;

- 2.2.2. სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით.
- 2.2.3. საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადებოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით), ფასიანი ქაღალდების, ფიუნერსებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;
- 2.2.4. ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;
- 2.2.5. გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მომოქცევის ორგანიზება (საგადახლო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);
- 2.2.6. საშუაშუალო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
- 2.2.7. კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- 2.2.8. ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა, ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;
- 2.2.9. საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
- 2.2.10. ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება;
- 2.2.11. ნებისმიერი სახის სხვა საბანკო საქმიანობა, რისი განხორციელების უფლებაც „ბანკს“ გააჩნია საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

- 2.3 თავისი საქმიანობის განხორციელებისას, „ბანკი“ ვალდებულია დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ეკონომიკური ლიმიტები და ეკონომიკური ნორმატივები.
- 2.4. „ბანკი“ ვალდებულია დაიცვას საქართველოს საბანკო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები და დებულებები სხვა იურიდიულ პირებში წილების/აქციების მფლობელობასთან დაკავშირებით.

**მუხლი 3**  
**საწესდებო კაპიტალი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები**

- 3.1 „ბანკის“ განცხადებული (ნებადართული) საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება **39,835,619 (ოცდაცხრამეტი მილიონ რვაას ოცდათხუთმეტი ათას ექვსას ცხრამეტი)** ლარით.
- 3.2 „ბანკის“ განცხადებული (ნებადართული) საწესდებო კაპიტალი დაყოფილია **39,835,619 (ოცდაცხრამეტი მილიონ რვაას ოცდათხუთმეტი ათას ექვსას ცხრამეტი)** ცალ ჩვეულებრივ აქციად. ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 (ერთი) ლარს. „ბანკის“ აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას. „ბანკის“ მიერ აქციების გაცემა მოხდება მხოლოდ მისი ნომინალური ღირებულების სრულად დაფარვის შემთხვევაში.
- 3.3 „ბანკს“ უფლება აქვს კანონით გათვალისწინებული წესით გამოუშვას შეღავათიანი (პრივილეგირებული) აქციები. ამგვარი პრივილეგირებული აქციები უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით, რომლის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება სათანადო ემისიის პროსპექტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. პრივილეგირებული აქციები არ იძლევიან ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე.
- 3.4 „ბანკის“ აქციონერებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება „ბანკის“ მიერ ემიტირებულ ახალ აქციებზე აღნიშნული ახლად ემიტირებული აქციების გამოშვებამდე მათ მფლობელობაში არსებული წილის პროპორციულად „ბანკის“ მთლიანი აქციების ოდენობასთან.

იმ ახალი აქციების ემისიისას, რომლებზეც არ მომხდარა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება, „ბანკი“ მის აქციონერებს აცნობებს აქციების ავგარი ემისიისა და უპირატესი შესყიდვის უფლების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების გზით. აქციათა სულ მცირე ერთი პროცენტის (1%) მფლობელებს (ან შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფრო მცირე წილის მფლობელ აქციონერებსაც) შეტყობინება მიეწოდებათ წერილობითი ფორმით დაზღვეული ფოსტის საშუალებით. აქციონერებმა, რომელთაც სურთ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება, აქციები უნდა შეიძინონ შეტყობინების თარიღიდან 20 (ოცი) დღის ვადაში. აღნიშნული ვადის შემდეგ უპირატესი შესყიდვის უფლება ჩაითვლება გაუქმებულად.

უპირატესი შესყიდვის უფლება არ შეეხება წესდების 3.10 მუხლის შესაბამისად, ნებადართული საწესდებო კაპიტალის ფარგლებში ემიტირებულ აქციებს, რომლებიც აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გამიზნულია "ბანკის" თანამშრომლებზე გასაცემად. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ახლადემიტირებულ აქციებზე უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება უნდა მოხდეს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, 7.3.3. ქვეუნიქტისა და 7.5. მუხლის პირობების შესაბამისად.

- 3.5 „ბანკის“ აქციათა რეესტრის წარმოება უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, დადგენილი პროცედურების შესაბამისად.
- 3.6 აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები „ბანკის“ საწესდებო კაპიტალის გაზრდის ან შემცირების შესახებ ახალი აქციების გამოშვების, ან შესაბამისად, არსებული აქციების გაუქმების გზით (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში). ახლად გამოშვებული აქციის შესასყიდი ფასი არ უნდა იყოს მის ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლები.
- 3.7 საწესდებო კაპიტალის გაზრდა შეიძლება განხორციელდეს სარეზერვო ფონდების საწესდებო კაპიტალად გარდაქმნით. ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების აკრძალვა.
- 3.8 საწესდებო კაპიტალი გაზრდის მიზნით, „ბანკს“ შეუძლია გამოუშვას ჩვეულებრივ და/ან პრივილეგირებულ აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდებიც.
- 3.9 ნებადართული კაპიტალის ფარგლებში ახალი აქციების ემისიით „ბანკის“ საწესდებო კაპიტალის გაზრდისას „ბანკის“ დირექტორატი უფლებამოსილია სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით „ბანკის“ საწესდებო კაპიტალი მთლიანად ან ნაწილობრივ გაზარდოს გადაწყვეტილებაში მითითებულ თანხამდე ახალი აქციების გამოცემის გზით. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება ნებადართული კაპიტალის ფარგლებში ახალი აქციების ემისიით საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე უნდა ითვალისწინებდეს, შეეხება თუ არა და რა მოცულობით შეეხება გაზრდა შეღავათიან და ჩვეულებრივ აქციებს, აგრეთვე კაპიტალის გაზრდის ვადებს (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელიწადს).
- 3.10 საერთო კრების გადაწყვეტილებით, ნებადართული კაპიტალი ან მისი ნაწილი შესაძლოა განისაზღვროს "ბანკის" თანამშრომლებზე აქციების გასაცემად, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სქემის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში ამგვარი ნებადართული კაპიტალის (ან მისი ნაწილის) ფარგლებში ახალი აქციების გაცემა რაიმე სხვა მიზნით დაუშვებელია. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ნებადართული კაპიტალის (მისი ნაწილის) ფარგლებში "ბანკის" თანამშრომლებზე გასაცემად გამიზნულ ახლადემიტირებულ აქციებზე არ ვრცელდება უპირატესი შესყიდვის უფლება.
- 3.11 "ბანკის" მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა დასაშვებია შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. გარდა შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული აქციების სავალდებულო გამოსყიდვისა, "ბანკს" უფლება აქვს შეიძინოს და შემდგომში გაყიდოს საკუთარი აქციები ("სახაზინო აქციები"). "სახაზინო აქციების" რაოდენობა არც ერთ მომენტში არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 10%-ს (ათ პროცენტს). ხმის დათვლის, დივიდენდის განაწილების, ლიკვიდაციის დროს და აქციების ფლობიდან გამომდინარე სხვა უფლებების რეალიზაციის მიზნებისათვის (შემთხვევებში), "ბანკის" მფლობელობაში არსებული "სახაზინო აქციები" მხედველობაში არ მიიღება. იგივე წესი ვრცელდება "ბანკის" შვილობილი საწარმოების საკუთრებაში არსებულ აქციებზე, იმის გათვალისწინებით რომ "ბანკის" შვილობილი საწარმოების მიერ მათი კლიენტების სახელით აქციების მფლობელობის შემთხვევაში (ანუ, როდესაც შვილობილი საწარმოები მოქმედებენ, როგორც აქციათა ნომინალური მფლობელები), მათ აქვთ ხმის, დივიდენდის მიღებისა და სხვა მსგავსი უფლებები.
- 3.12 „ბანკი“ უფლებამოსილია სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოუშვას ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

#### **მუხლი 4 „ბანკის“ აქციონერები**

- 4.1 „ბანკის“ აქციონერებს წარმოადგენენ პირები, რომლებიც ფლობენ „ბანკის“ აქციებს თანხმად დადგენილი წესისა და რეგისტრირებულნი არიან „ბანკის“ აქციათა რეესტრში. „ბანკის“ აქციონერები შეიძლება იყვნენ საქართველოში და/ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები, საქართველოსა და/ან სხვა ქვეყნის მოქალაქეები.
- 4.2 აქციონერებს უფლება აქვთ:

- 4.2.1 პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში (მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს);
- 4.2.2 მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად;
- 4.2.3 განკარგონ საკუთარი აქციები კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 4.2.4 „ბანკის“ ლიკვიდაციის შემთხვევაში, მიიღონ იმ ქონების წილი ან მისი ღირებულება, რომელიც დარჩება კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ (მათი სალიკვიდაციო ქვოტა) მათი წილის პროპორციულად;
- 4.2.5 აქციების საერთო რაოდენობის 5%-ის (ხუთი პროცენტის) ან მეტის მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მათ გააჩნიათ საფუძვლიანი ეჭვი რაიმე დარღვევის თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით სამეთვალყურეო საბჭოსთვის. მოთხოვნის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია:
- (ა) დაავალოს ღირეპტორატს უზრუნველყოს სპეციალური შემოწმების ჩატარება „ბანკის“ ხარჯებით, თუკი სამეთვალყურეო საბჭო იზიარებს აქციონერ(ებ)ის ეჭვს; ან
  - (ბ) უარი თქვას „ბანკის“ ხარჯებით სპეციალური შემოწმების განხორციელებაზე და მისცეს უფლება აღნიშნულ აქციონერ(ებ)ს საკუთარი ხარჯებით ჩაატარონ ამგვარი შემოწმება, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს აზრით ადგილი არ ქონია რაიმე დარღვევას. ასეთ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდება რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, „ბანკი“ აუნაზღაურებს აქციონერ(ებ)ს ინსპექციის ჩატარებისას გაწეულ ნებისმიერ ხარჯს; ან
  - (გ) უარი თქვას სპეციალური შემოწმების განხორციელებაზე და არ დართოს ნება აქციონერ(ებ)ს მისი (მათი) საკუთარი ხარჯით შემოწმების განხორციელებაზე, თუ იგი (სამეთვალყურეო საბჭო) საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ (i) რაიმე მნიშვნელოვან დარღვევას არ ჰქონია ადგილი, და (ii) ამგვარი შემოწმება შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს „ბანკის“ ინტერესებს (მაგალითად, კონკურენციის, კონფიდენციალურობას ან სხვა მსგავსი მიზეზის გამო). ასეთ შემთხვევაში აქციონერ(ებ)ი უფლებამოსილია (არიან) სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩიროს შესაბამის სასამართლოში.
- 4.2.6 აქციების საერთო რაოდენობის 5%-ის (ხუთი პროცენტის) ან მეტის მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევა. მოთხოვნა წერილობით უნდა წარედგინოს „ბანკის“ ღირეპტორატს. თუ აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ღირეპტორატის მიერ ასეთი მოთხოვნის თარიღიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ შესაბამის სასამართლოს;
- 4.2.7 ნებისმიერ აქციონერს უფლება აქვს ღირეპტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან მოითხოვოს განმარტებები აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით. თუკი ამგვარი მოთხოვნა წერილობითი ფორმით იქნა წარდგენილი აქციონერთა საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 10 (ათი) დღით ადრე, მოთხოვნა უნდა შესრულდეს, ან განხილულ უნდა იქნას დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად.
- 4.2.8 აქციონერებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ხმის უფლება საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება შეეხება მათთან გარიგების დადებას.
- 4.3 „ბანკის“ აქციონერები ვალდებული არიან:
- 4.3.1 უზრუნველყონ მათი შესაბამისი შენატანების შეტანა „ბანკის“ საწესდებო კაპიტალში, რათა აქციების შესაბამისი რაოდენობა რეგისტრირებული იქნას მათ სახელზე;
- 4.3.2 დაიცვან წინამდებარე წესდებით განსაზღვრული პირობები.

## მუხლი 5 მოგების განაწილება და ზარალის ანაზღაურება

- 5.1 მოგების განაწილების წესი:
- 5.1.1 წლიური აუდიტორული შემოწმების დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში (მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, წლიური აქციონერთა კრების ჩატარებამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე), „ბანკის“ ღირეპტორატმა უნდა მოამზადოს წინადადება მოგების განაწილების თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად. მოგების განაწილების თაობაზე წინადადებაზე შეთანხმების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭომ და გენერალურმა ღირეპტორმა უნდა წარუდგინონ საერთო კრებას ერთობლივი წინადადება; ხოლო აღნიშნულ საკითხზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, გენერალურმა ღირეპტორმა და სამეთვალყურეო საბჭომ უნდა წარადგინონ დამოუკიდებელი წინადადებები. მოგების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს/დამტკიცდეს აქციონერთა საერთო კრების მიერ.

5.1.2 აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, წმინდა მოგება, მიმართული დივიდენდების გადახდაზე, უნდა განაწილდეს 5.2 მუხლით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აქციონერებს არ აქვთ უფლება რაიმე სხვა სახის ანაზღაურებასა, თუ კომპენსაციაზე.

5.2 დივიდენდების გადახდა:

5.2.1 აქციონერთა საერთო კრება ადგენს სააღრიცხვო თარიღს (შემდგომში “დივიდენდის სააღრიცხვო თარიღი”), რომელიც უნდა იყოს საერთო კრების ჩატარებიდან სულ მცირე 15 (თხუთმეტი) დღის შემდეგ და უნდა ემთხვეოდეს სამუშაო დღეს. ის აქციონერები, რომლებიც “დივიდენდის სააღრიცხვო თარიღის” დღის ბოლოსათვის ფლობენ “ბანკის” აქციებს მიიღებენ დივიდენდს მათ მფლობელობაში არსებული აქციების წილის პროპორციულად.

5.2.2 იგივე აქციონერთა კრება ადგენს დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღს (შემდგომში “დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღი”). “დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღი” უნდა იყოს “დივიდენდის სააღრიცხვო თარიღიდან” სულ მცირე 15 (თხუთმეტი) დღის შემდეგ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, შესაბამისი საერთო კრების ჩატარებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში.

5.2.3 “დივიდენდის სააღრიცხვო თარიღი” და “დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღი” უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში შესაბამისი საერთო კრების ჩატარებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში და იმ აქციონერებს, რომლებიც ფლობენ აქციათა სულ მცირე ერთ პროცენტს (ან ნაკლებ პროცენტს, თუ და როდესაც ეს გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით) უნდა ეცნობოთ დაზღვეული ფოსტით ან პირადად.

5.3 აქციონერთა საერთო კრებამ ყოველწლიურად უნდა აირჩიოს აუდიტორი, რომელიც ეკონომიკურად და სამართლებრივად დამოუკიდებელი უნდა იყოს „ბანკისაგან“. აღნიშნული აუდიტორის მიერ ჩატარებული სავალდებულო რევიზია უნდა მოიცავდეს „ბანკისა“ და მისი შვილობილი საწარმოების საბუღალტრო აღრიცხვას, წლიურ ბალანსსა და ბიზნესის წარმართვის პრაქტიკას. აუდიტორული შემოწმების დასრულებისთანავე აუდიტორული შემოწმების სრული ანგარიში წარედგინება საქართველოს ეროვნულ ბანკს და ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდება ეროვნული ბანკის წესებით განსაზღვრული საფინანსო ანგარიშგება და აუდიტორული დასკვნა.

## **მუხლი 6 „ბანკის“ მართვა**

6.1 „ბანკის“ მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

6.2 „ბანკის“ საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ.

6.3 „ბანკის“ ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტი ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორატის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.

## **მუხლი 7 აქციონერთა საერთო კრება**

7.1 აქციონერთა საერთო კრების მოწვევა:

7.1.1 აქციონერთა მორიგი საერთო კრება მოწვეული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად, „ბანკის“ საბუღალტრო დოკუმენტაციის წლიური გარე აუდიტის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი თვისა და ნებისმიერ შემთხვევაში, წინა ფინანსური წლის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში. „ბანკის“ რიგგარეშე კრება მოწვეულ უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის მიერ, ან „ბანკის“ აქციების სულ მცირე 5%-ის (ხუთი პროცენტის) მფლობელი აქციონერის (აქციონერების) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

7.1.2 კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ „ბანკის“ ხმის უფლების მქონე აქციათა სამოცდათხუთმეტ პროცენტზე (75%) მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში, დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ „ბანკის“ ხმის უფლების მქონე აქციათა სამოცდათხუთმეტ პროცენტზე (75%) მეტს ფლობს ერთზე მეტი აქციონერი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

7.1.3 კრების დრო, ადგილი და დღის წესრიგი უნდა გამოქვეყნდეს სულ მცირე 20 (ოცი) დღით ადრე კრების თარიღამდე. აქციათა სულ მცირე 1%-ის (ერთი პროცენტის) მფლობელებს უნდა ეცნობოს საერთო კრების შესახებ დაზღვეული ფოსტით ან პირადად. შესაბამისი

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება დაეგზავნებათ უფრო მცირე წილის მფლობელ აქციონერებსაც.

- 7.1.4 სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო თარიღს შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.
- 7.1.5 საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია და ქვორუმი შემდგარია, თუ კრებას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე ნახევარი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, 7.1.3 პუნქტის პროცედურების დაცვით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება იგივე დღის წესრიგით. ახალი კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე 25% (ოცდახუთი პროცენტი). თუ კრება კვლავაც არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, 7.1.3 პუნქტის პროცედურების დაცვით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება იგივე დღის წესრიგით. აღნიშნული კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე ან წარმოდგენილი აქციონერების რაოდენობის მიუხედავად.
- 7.1.6 აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე ან სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე სხვა წევრი; ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არყოფნისას – გენერალური დირექტორი. იმ შემთხვევაში თუ საერთო კრებაზე განსახილველად გამოტანილია საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც საერთო კრების თავმჯდომარეს გააჩნია ინტერესთა შეუთავსებლობა (კონფლიქტი), ასეთი საკითხის განხილვისას კრებას თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა (დამოუკიდებელი) წევრი.
- 7.1.7 კრების ოქმს შეადგენს და დაამოწმებს ნოტარიუსი. ოქმი ხელმისაწვდომი იქნება ყველა აქციონერისთვის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრისთვის და მათი წარმომადგენლებისთვის.

## 7.2 წარმომადგენლობა აქციონერთა საერთო კრებაზე

- 7.2.1 აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო თარიღისათვის აქციონერთა რეესტრში რეგისტრირებული ყველა აქციონერი უფლებამოსილია დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში.
- 7.2.2 აქციონერი უფლებამოსილია გადასცეს თავისი უფლებები სხვა აქციონერს, ან სხვა მესამე პირებს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ აქციონერის რწმუნებული პირი ვერ წარმოადგენს ამგვარ რწმუნებულებას, მას ჩამორთმეულ ექნება კრებაზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლება. ნომინალური მფლობელების მიერ წარმომადგენლობა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ბროკერებსა და დილერებს) რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. აქციონერთა წარმომადგენლობა საერთო კრებაზე შესაძლოა ასევე განხორციელდეს ნებისმიერი სხვა სახით, რაც არ არის აკრძალული შესაბამისი კანონმდებლობით.

## 7.3 აქციონერთა საერთო კრება განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

- 7.3.1 „ბანკის“ წესდების დამტკიცება და შეცვლა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საფირმო სახელწოდების და ა.შ.);
- 7.3.2. გადაწყვეტილების მიღება შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ, „ბანკის“ ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა;
- 7.3.3. საწესდებო კაპიტალის მომატების დროს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება;
- 7.3.4. მოგების გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წინადადების მიღება ან უარყოფა, ან, როდესაც ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, გადაწყვეტილების მიღება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- 7.3.5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა (8.2 მუხლის შესაბამისად);
- 7.3.6. „ბანკის“ აქციების 20%-ის (ოცი პროცენტის) ან მეტის მფლობელი აქციონერის მიერ დასახელებული პირის არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში (8.3 მუხლის შესაბამისად);
- 7.3.7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გამოწვევა;
- 7.3.8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთათვის ეთიკის კოდექსის შემუშავება;
- 7.3.9. დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
- 7.3.10. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;
- 7.3.11. აუდიტორის არჩევა;
- 7.3.12. გადაწყვეტილებების მიღება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეების შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- 7.3.13. გადაწყვეტილებების მიღება „ბანკის“ ქონების შექმნის, გასხვისების, გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს „ბანკის“ მთლიანი აქტივების ღირებულების 25%-ზე (ოცდახუთ პროცენტზე) მეტს.



7.3.14. წლიური ანგარიშების დამტკიცება.

7.3.15. გადაწყვეტილებების მიღება კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.4. ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, იღებენ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი.

7.5. მუხლ 7.3-ში გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე ან წარმოდგენილ აქციათა ორმოცდაათ პროცენტზე (50%-ზე) მეტის მფლობელების ხმა, გარდა 7.3.1, 7.3.2 და 7.3.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისა, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე ან წარმოდგენილ აქციათა 75%-ზე (სამოცდათხუთმეტ პროცენტზე) მეტის მფლობელების ხმა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, 7.3.5 ქვეპუნქტის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა უნდა განხორციელდეს წესების 8.2 მუხლში მითითებული წესით.

## **მუხლი 8 სამეთვალყურეო საბჭო**

8.1 სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინიშნებიან და თავისუფლდებიან აქციონერთა საერთო კრების მიერ. სამეთვალყურეო საბჭო და თითოეული ხმის უფლების მქონე აქციონერი უფლებამოსილი არიან დაასახელონ კანდიდატები სამეთვალყურეო საბჭოში ასარჩევად.

8.2 სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ასარჩევად აქციონერთა კრებაზე გამოიყენება ხმების აკუმულირების მეთოდი. ხმების აკუმულირების მეთოდი მდგომარეობს შემდეგში:

- ა) ხმის უფლების მქონე ყოველი აქციონერი ანაწილებს მთელ თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ აქციათა სრულ რაოდენობას;
- ბ) აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);
- გ) თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ასარჩევ რაოდენობაზე ნაკლებია ან ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; ხოლო თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

8.3 აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, რომლებიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შემდეგ დაეუფლებიან “ბანკის” აქციების 20%-ს (ოც პროცენტს) ან მეტს, უფლება აქვთ, სამეთვალყურეო საბჭოში ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დაასახელონ და აირჩიონ მათი წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში. წინამდებარე დებულება არ ვრცელდება თუ ასეთ აქციონერს (აქციონერთა ჯგუფს):

- ა) უკვე ყავს სულ მცირე ერთი წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში; და/ან
- ბ) აქვს შესაძლებლობა აკუმულირების მეთოდის მეშვეობით, თავისი ხმების გადანაწილების გარეშე აირჩიოს ერთი წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში.

8.4 თუ საერთო კრება სხვაგვარად არ გადაწყვეტს, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა ოთხწლიანი ვადით, იმის გათვალისწინებით, თუ წევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება ახალი წევრის არჩევამდე, მისი უფლებამოსილება უნდა გაგრძელდეს შემდგომ საერთო კრებამდე.

8.5 სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრს შეუძლია უარი თქვას წევრობაზე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისათვის ოთხი კვირით ადრე წარდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე წერილობით მიმართავს თავმჯდომარის მოადგილეს, ხოლო მისი არყოფნისას, სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ სხვა წევრს). წევრის გათავისუფლებიდან არაუგვიანეს სამი თვისა, უნდა არჩეული იქნას სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი.

8.6 სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იმავდროულად იყოს დირექტორატის წევრი. დირექტორი (დირექტორები) არ შეიძლება წარმოადგენდეს უმრავლესობას სამეთვალყურეო საბჭოს სრულ შემადგენლობაში.

8.7 სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს და საბჭოდან უნდა გამოყვანილ იქნას პირი, რომელიც:

- ა) არის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრი საქართველოში რეგისტრირებულ შვიდზე მეტ საწარმოში;
- ბ) არის საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა კანონით ნებადართული შემთხვევებისა;
- გ) კანონის შესაბამისად არ არის უფლებამოსილი დაიკავოს ადგილი სამეთვალყურეო საბჭოში;
- დ) გამოცხადებულია გაკოტრებულად.

- 8.8 სამეთვალყურეო საბჭო მისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას, თავმჯდომარის მოადგილე) იწვევს სხდომებს და ადგენს დღის წესრიგს. ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დღის წესრიგში დაამატოს პუნქტი ან მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება.
- 8.9 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები უნდა გაიმართოს სულ მცირე კვარტალში ერთხელ მაინც, „ბანკის“ მისამართზე ან ნებისმიერ სხვა ადგილას. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილობით, სავარაუდო დღის წესრიგთან ერთად სულ მცირე რვა დღით ადრე სხდომის მოწვევის სავარაუდო თარიღამდე. ყველა სხვა წევრთან შეთანხმებით, თავმჯდომარეს (თავად ან სხვა წევრის მოთხოვნის საფუძველზე) შეუძლია მოიწვიოს სხდომა ზეპირად ან სხვა გზით უფრო მოკლე ვადებშიც. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლოა წარმოდგენილი იყვნენ სხვა წევრების მიერ. ერთი წევრი შესაძლოა წარმოადგენდეს მხოლოდ ერთ წევრს.
- 8.10 სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არაა უფლებამოსილი გადაწყვეტილებების მისაღებად, ახალი სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნას სამი (3) სამუშაო დღის ვადაში. ახალი სხდომა უფლებამოსილი იქნება გადაწყვეტილებების მისაღებად, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%-ისა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის უფლებამოსილი გადაწყვეტილებების მისაღებად, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მისი მოადგილე) იწვევს საერთო კრებას.
- 8.11 სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა თანხმობით დასაშვებია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება სატელეფონო ან ვიდეო კონფერენციის მეშვეობით.
- 8.12 სხდომისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების შესახებ ოქმს ადგენს სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი. ოქმი დაეგზავნება სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს და დამტკიცდება (i) ყველა წევრის წერილობით შეთანხმებით, ან (ii) შემდგომი სხდომის მიერ (რომელ ფაქტსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). დამტკიცების შემდეგ ოქმს ხელს მოაწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი). ოქმში მითითებული უნდა იყოს სხდომის ჩატარების ადგილი და დრო, დამსწრე წევრთა სია, დღის წესრიგი, სხდომაზე წარმართული განხილვის მოკლე შინაარსი და შესაბამისი გადაწყვეტილება.
- 8.13 სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს გააჩნია ერთი ხმა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს განხილვაში დღის წესრიგის იმ საკითხზე, რომელთან დაკავშირებითაც ასეთ წევრს გააჩნია ინტერესთა შეუთავსებლობა (კონფლიქტი). იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ინტერესთა შეუთავსებლობა გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, სამეთვალყურეო საბჭო ამგვარი საკითხის განსახილველად აირჩევს სხდომის ახალ თავმჯდომარეს.
- 8.14 სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ხმის უბრალო უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება კომიტეტების შექმნის თაობაზე. აღნიშნული კომიტეტების სტრუქტურა და მიზნობრიობა განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ასეთი კომიტეტები ვალდებული არიან აცნობონ სამეთვალყურეო საბჭოს თავიანთი დასკვნებისა და რეკომენდაციების შესახებ.
- 8.15 სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია მოიცავს შემდეგს:
- 8.15.1 თითოეული დირექტორის საქმიანობის კონტროლი;
  - 8.15.2 გენერალური დირექტორისა და სხვა დირექტორების დანიშვნა და გათავისუფლება და მათთან შრომითი კონტრაქტის დადება და შეწყვეტა; ასევე, დირექტორატის წევრთათვის ეთიკის კოდექსის შემუშავება;
  - 8.15.3 „ბანკთან“ დაკავშირებული პოლიტიკის და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცება და შესწორება;

- 8.15.4 „ბანკის“ საბუღალტრო წიგნებისა და მისი ქონებრივი ობიექტების შემოწმება, მათ შორის, „ბანკის“ სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის შემოწმება პირადად, ცალკეული წევრების ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით;
- 8.15.5 „ბანკის“ საქმიანობის ანგარიშის (შვილობილ და მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით) მოთხოვნა დირექტორატისაგან და შიდა აუდიტის სამსახურისა და დამოუკიდებელი შემოწმების შესახებ ინფორმაციის განხილვა;
- 8.15.6 აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებების მოწვევა, თუ აღნიშნულს მოითხოვს „ბანკის“ ინტერესები;
- 8.15.7 დირექტორატის წლიური ანგარიშების და მოგების განაწილების წინადადების განხილვა;
- 8.15.8 „ბანკის“ წარმოდგენა გენერალური დირექტორისა და სხვა დირექტორების წინააღმდეგ აღძრულ სასამართლო პროცესებზე. სამეთვალყურეო საბჭოს, თუ საკითხი ეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, შეუძლია აღძრას სარჩელი გენერალური დირექტორის (ან სხვა დირექტორის) წინააღმდეგ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე ან მის საწინააღმდეგოდ;
- 8.15.9 წლიური ბიუჯეტის დამტკიცება.
- 8.15.10 გადაწყვეტილებების მიღება კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 8.16 დირექტორატის ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.
- 8.17 მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:
- 8.17.1 სხვა კომპანიებში წილებისა და აქციების შეძენა და გადაცემა, თუკი ამგვარი წილის / აქციების მოცულობა აღემატება ამგვარი კომპანიის მთლიანი კაპიტალის 50% (ორმოცდაათ პროცენტს) ან გარიგების ღირებულება აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ „ბანკის“ საბალანსო ღირებულების 2.5%-ს (ორ ნახევარ პროცენტს);
- 8.17.2 უძრავი ქონების და ქონებრივი უფლებების შეძენა, გადაცემა და დატვირთვა, თუკი ამგვარი გარიგება სცილდება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის სფეროს და მისი ღირებულება აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ „ბანკის“ საბალანსო ღირებულების 2.5%-ს (ორ ნახევარ პროცენტს) ;
- 8.17.3 ფილიალების დაფუძნება და ლიკვიდაცია;
- 8.17.4 ინვესტიციები, რომლის ღირებულებაც, ცალკე ან ჯამში, აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ „ბანკის“ საბალანსო ღირებულების 2.5%-ს (ორ ნახევარ პროცენტს);
- 8.17.5 კრედიტების და სესხების აღება იმ ოდენობით, რომლის ღირებულებაც აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ „ბანკის“ საბალანსო ღირებულების 2.5%-ს (ორ ნახევარ პროცენტს);
- 8.17.6 კრედიტების და სესხების უზრუნველყოფა, თუ ისინი სცილდება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის სფეროს;
- 8.17.7 ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეჩერება ან შეწყვეტა;
- 8.17.8 „ბანკის“ სამეურნეო პოლიტიკის საერთო პრინციპებისა და ბიზნეს სტრატეგიის დადგენა, წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების დამტკიცება;
- 8.17.9 „ბანკის“ ხელმძღვანელობის (გენერალური დირექტორის და დირექტორატის სხვა წევრების, და ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შერჩეული სხვა ხელმძღვანელი პირების) ანაზღაურების და/ან დამატებითი სარგებლის განსაზღვრა;
- 8.17.10 სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გათავისუფლება;
- 8.17.11 იმ შეთანხმების ან ხელშეკრულების (ხელშეკრულებების) დამტკიცება, რომლის შესაბამისად „ბანკის“ მიერ გაწეული ერთჯერადი ან რამოდენიმე ეტაპად გაღებული ხარჯი აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ „ბანკის“ საბალანსო ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს);
- 8.17.12 საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების აღეკვამური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
- 8.17.13 „ბანკის“ მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (რაც, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, გულისხმობს 3.11 მუხლით გათვალისწინებულ "სახაზინო აქციებსაც");
- 8.17.14 სხვა ისეთი საქმიანობა, რომელიც შესაძლოა განსაზღვრული იყოს შესაბამისი კანონმდებლობით.
- 8.18 სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღება ხდება დამსწრე ან წარმოდგენილ წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის მოთხოვნით, წესების

8.17 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე თანხმობის გაუცემლობის შესახებ ინფორმაცია შეტანილი უნდა იქნას „ბანკის“ წლიურ ანგარიშში (გარდა იმ საკითხებისა, რაც განეკუთვნება „ბანკის“ ყოველწლიურ საქმიანობას).

## მუხლი 9 დირექტორატი

- 9.1. „ბანკის“ ყოველწლიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორატის მიერ, რომლის წევრებსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.
- 9.2. დირექტორატი შედგება გენერალური დირექტორისა და არანაკლებ სამი (3) დირექტორისაგან. გენერალური დირექტორი და ყველა დანარჩენი დირექტორი ინიშნება „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
- 9.3. „ბანკის“ დირექტორატის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს ან დირექტორატის წევრის თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც:
- ა) ვერ აკმაყოფილებს ბანკის დირექტორის შესაფერისობის კრიტერიუმებს, რაც დადგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;
  - ბ) კანონის შესაბამისად არ აქვს უფლება დაიკავოს ადგილი დირექტორატში;
  - გ) გამოცხადებულია გაკოტრებულად;
  - დ) ნასამართლევა ეკონომიკური დანაშაულისათვის და არ აქვს გაქარწყლებული ნასამართლობა;
  - ე) არის „ბანკის“ დირექტორატის წევრის მეუღლე, შვილი ან ახლო ნათესავი.
- 9.4. „ბანკის“ დირექტორატი ვალდებულია:
- 9.4.1 წარმართოს და განახორციელოს „ბანკის“ მიმდინარე საქმიანობა;
  - 9.4.2 წინასწარ განიხილოს „ბანკის“ აქციონერთა ან სამეთვალყურეო საბჭოს კრებების დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხი, მოამზადოს სათანადო ინფორმაცია, წინადადებები და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები;
  - 9.4.3 ფინანსური წლის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში მოამზადოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მიმდინარე წლის ბიზნეს გეგმა, რაც მოიცავს წლიურ ბიუჯეტსა და მოგება-ზარალის განგარიშებს, აგრეთვე „ბანკის“ საინვესტიციო გეგმას.
  - 9.4.4 ზედამხედველობა გაუწიოს დაკრედიტების, ანგარიშსწორების, დაფინანსების, საკასო მომსახურების, ფულის და „ბანკის“ ფასეულობათა დაცვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების, შიდასაბანკო კონტროლის, სამეურნეო ანგარიშის განხორციელების, კლიენტის ინტერესების უზრუნველყოფის ორგანიზაციისა და „ბანკის“ საქმიანობის სხვა ძირითად საკითხებს;
  - 9.4.5 ზედამხედველობა გაუწიოს „ბანკის“ ფილიალებისა და განყოფილებების მუშაობის, მათ ხელმძღვანელობაზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის საკითხებს;
  - 9.4.6 განიხილოს შიდა აუდიტის ან გარე რევიზიის მასალები, აგრეთვე „ბანკის“ ფილიალებისა და განყოფილებების ხელმძღვანელთა ანგარიშები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;
  - 9.4.7 უზრუნველყოს აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს კრებების გადაწყვეტილებების შესრულება;
  - 9.4.8 შეიმუშაოს „ბანკის“ წესები, შინაგანაწესი და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ასევე უზრუნველყოს მათი შესრულება;
  - 9.4.9 მიიღოს გადაწყვეტილებები პერსონალის შერჩევის, გათავისუფლების, კვალიფიკაციის ამაღლების და ანაზღაურების საკითხებზე (იმ პირობით, რომ დირექტორატი გათვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს ზოგიერთ უმაღლეს თანამდებობის პირთან მიმართებაში);
  - 9.4.10 გადაწყვიტოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც, დრო და დრო, შესაძლოა დაევალოს დირექტორატს (ან მის ცალკეულ წევრებს) სამეთვალყურეო საბჭოს და/ან აქციონერთა კრების მიერ;
  - 9.4.11 დაიცვას წინამდებარე „წესდებითა“ და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.
- 9.5. „ბანკის“ დირექტორატის საქმიანობას ხელმძღვანელობს და წარუძღვება გენერალური დირექტორი. ამ მიზნით, გენერალური დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით ანაწილებს „ბანკის“ დირექტორატზე დაკისრებულ ფუნქციებს დირექტორებს შორის.
- 9.6. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე იმოქმედოს „ბანკის“ სახელით. გენერალური დირექტორის არყოფნისას „ბანკის“ სახელით მოქმედების უფლება აქვს ერთ-ერთ დირექტორს გენერალური დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

- 9.7. ზემოთ 9.5 და 9.6 მუხლებში განსაზღვრული პირობების მიუხედავად, ნებისმიერ გარიგებას, რომლის შესაბამისადაც „ბანკის“ ვალდებულება აღემატება წინა კალენდრული თვის დასასრულისთვის არსებულ „ბანკის“ საბალანსო ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს), ხელი უნდა მოეწეროს ღირეპტორატის ნებისმიერი ორი წვერის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი გარიგება დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
- 9.8. „ბანკის“ გენერალურ ღირეპტორი ვალდებულია:
- 9.8.1 უხელმძღვანელოს ღირეპტორთა საბჭოს სხდომებს, კოორდინაცია გაუწიოს ღირეპტორატის, სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესრულებას, გაანაწილოს ფუნქციები ღირეპტორატის წვერებსა და „ბანკის“ სხვა ხელმძღვანელ პირებს შორის და ამ მიზნით, გამოსცეს ბრძანებები, ინსტრუქციები და სხვა მითითებები „ბანკის“ საქმიანობის შესახებ;
  - 9.8.2 სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი შესაძლო ნებართვისა და თანხმობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად იმოქმედოს „ბანკის“ სახელით;
  - 9.8.3 სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს რეკომენდაციები „ბანკის“ თანამშრომლების პრემიებით წახალისებისა და ანაზღაურების თაობაზე;
  - 9.8.4 ღირეპტორატის მიერ დამტკიცებული „ბანკის“ საშტატო გეგმის შესაბამისად დანიშნოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები;
  - 9.8.5 აწარმოოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რაც აუცილებელი „ბანკის“ მიზნებისათვის, გარდა აქციონერთა კრებაზე და სამეთვალყურეო საბჭოზე დაკისრებული ფუნქციებისა.
- 9.9. „ბანკის“ გენერალურ ღირეპტორს შეუძლია „ბანკის“ ღირეპტორატის წვერებსა და „ბანკის“ შესაბამისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელებს დაავალოს პირადად მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა.
- 9.10. ღირეპტორატის ნებისმიერი წვერი უფლებამოსილია მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება და მიმართოს ამგვარ სხდომას.
- 9.11. ღირეპტორატის სხვა წვერების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე წესდების, „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური ღირეპტორის მითითებების შესაბამისად.

## **მუხლი 10 აუდიტის კომიტეტი და შიდა კონტროლი**

- 10.1. „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოსთან იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და „ბანკის“ გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა. აუდიტის კომიტეტი შედგება არანაკლებ სამი წვერისაგან, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტში უნდა შედიოდეს არანაკლებ ერთი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წვერი, ხოლო თუ დამოუკიდებელი წვერი არ არსებობს, მაშინ ნებისმიერი სხვა წვერი. აუდიტის კომიტეტის სხვა წვერებს ასევე ნიშნავს „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭო.
- 10.2. აუდიტის კომიტეტის უფლება-მოვალეობანია:
- 10.2.1 დაუწესოს „ბანკის“ აღრიცხვისა და სააღრიცხვო კონტროლის შესაბამისი წესები, განახორციელოს მათი დაცვის ზედამხედველობა და შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით ჩაატაროს „ბანკის“ ანგარიშგებისა და საბუღალტრო ჩანაწერების რევიზია;
  - 10.2.2 თვალყური ადევნოს „ბანკის“ მიერ მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;
  - 10.2.3 დაამტკიცოს „ბანკის“ შიდა აუდიტის სამსახურის დებულება და ორგანიზება გაუკეთოს „ბანკში“ შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციონირებას;
  - 10.2.4 უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის ობიექტურობა და დამოუკიდებლობა სამეთვალყურეო საბჭოსაგან და ღირეპტორატისაგან;
  - 10.2.5 დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის სამუშაო გეგმა მომავალი ფისკალური წლისათვის;
  - 10.2.6 განიხილოს შიდა აუდიტის სამსახურის კვარტალური მოხსენებები, დაამტკიცოს და სამეთვალყურეო საბჭოსა და ღირეპტორატს წარუდგინოს აუდიტორული გამოკვლევები და რეკომენდაციები;
  - 10.2.7 ზედამხედველობა გაუწიოს შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობას, მისი საქმიანობის კვარტალურ და წლიურ სამუშაო გეგმასთან შესაბამისობას;
  - 10.2.8 შეფასოს შიდა აუდიტის სამსახურის ღირეპტორისა და ცალკეული აუდიტორების მიერ გაწეული მუშაობა;
  - 10.2.9 დაამტკიცოს სამსახურის მიერ მომზადებული შიდა აუდიტის წლიური სამუშაო პროგრამა კვარტალების მიხედვით და ზედამხედველობა გაუწიოს მის შესრულებას;

- 10.2.10 შეფასოს სამსახურის თითოეული თანამშრომლის მიერ გაწეული მუშაობა პროფესიონალიზმისა და საქმისადმი დამოუკიდებელი მიდგომის გათვალისწინებით და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება;
- 10.2.11 "ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატთან ერთად უზრუნველყოს "ბანკის" სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობა სამსახურთან;
- 10.2.12 წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები „ბანკის“ შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის აყვანის / თანამდებობიდან განთავისუფლების, და ასევე მათი ანაზღაურების თაობაზე;
- 10.2.13 წარუდგინოს დირექტორატს (შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით) რეკომენდაციები „ბანკის“ შიდა აუდიტის სამსახურის სხვა თანამშრომლების აყვანის / თანამდებობიდან განთავისუფლების, და ასევე მათი ანაზღაურების თაობაზე;
- 10.2.14 ხელი შეუწყოს გარე აუდიტორების ფუნქციონირებას;
- 10.2.15 პერიოდულად ჩააბაროს „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში მისი საქმიანობის შესახებ.

10.3. აუდიტის კომიტეტი იკრიბება კვარტალში ერთხელ მაინც, ხოლო საგანგებო შემთხვევებში – „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნით. აუდიტის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს კომიტეტის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, რომლებსაც კენჭისყრის დროს თავის შეკავების უფლება არ აქვთ. აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

**მუხლი 11  
ბარიერები დაკავშირებულ პირებთან**

- 11.1 წინამდებარე მე-11 მუხლის მიზნებისათვის “დაკავშირებული პირი” ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც წარმოადგენს (ა) “ბანკის” გამოშვებული აქციების ხუთი პროცენტის ან მეტის მფლობელს და/ან სხვაგვარად აკონტროლებს ამგვარ აქციებს, (ბ) “ბანკის” სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, ან “ბანკის” სხვა ხელმძღვანელ თანაშრელს, (გ) კომპანიას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან კონტროლდება “ბანკის” მიერ, ან რომელიც კონტროლდება იმ პირის მიერ, რომელიც აკონტროლებს “ბანკს”, და (დ) ნებისმიერ სხვა პირს (იურიდიულ ან ფიზიკურ პირს), რომელიც მიიჩნევა “დაკავშირებულ პირად” შესაბამისი კანონდებლობით და/ან “ბანკის” სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
- 11.2 “ბანკი” და მისი მმართველი ორგანოები ვალდებული არიან დაემორჩილონ შესაბამისი საბანკო და ფასიანი ქაღალდების კანონებით დადგენილ მოთხოვნებსა და შეზღუდვებს “დაკავშირებულ პირებთან” დასაღებ გარიგებებთან მიმართებაში, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის, ფასიანი ქაღალდების კომისიის ან იმ ქვეყნ(ებ)ის სხვა შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებულ წესებს, დებულებებსა და ინსტრუქციებს, სადაც “ბანკის” ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული.
- 11.3 “დაკავშირებულ პირებთან” დასაღები ნებისმიერი გარიგება ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარ დამტკიცებას, თუკი ამგვარი გარიგების ღირებულება არ აღემატება “ბანკის” აქტივების ღირებულების 50% (ორმოცდაათ პროცენტს). წესდების 8.13 მუხლის გათვალისწინებით, ამგვარ გარიგებებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე ან წარმოდგენილი წევრების მიერ ერთხმად. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გარიგების ღირებულება აღემატება “ბანკის” აქტივების ღირებულების 50% (ორმოცდაათ პროცენტს), გარიგება უნდა დამტკიცდეს აქციონერთა საერთო კრებაზე.
- 11.4 მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მოახდინოს დაკავშირებულ პირებთან დასაღები გარიგებ(ებ)ის დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება დირექტორატზე და/ან შესაბამის კომიტეტებზე. ამასთან, (ა) ცალკეულ დაკავშირებულ პირთან დასაღები გარიგებ(ებ)ის კუმულატიური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს “ბანკის” საზედამხედველო კაპიტალის 1% (ერთ პროცენტს), და (ბ) დირექტორატის და/ან შესაბამისი კომიტეტის წევრებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღონ იმ გარიგებასთან დაკავშირებულ განხილვებში, რომელთან მიმართებაშიც მას (მათ) გააჩნიათ ინტერესთა შეუთავსებლობა.

**მუხლი 12  
კონფიდენციალურობა**

12.1 თუკი სხვაგვარად არ იქნა გადაწყვეტილი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, “ბანკის” სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წევრები, ასევე “ბანკის” სხვა თანამდებობის პირები ვალდებული არიან,

არ გამოიყენონ, გამოაქვეყნონ, გაავრცელონ ან განუცხადონ რომელიმე პირს, გარდა “ბანკის“ იმ თანამდებობის პირებისა ან თანამშრომლებისა, ვის კომპეტენციაშიც ეს შედის, ნებისმიერ კონფიდენციალური ინფორმაცია „ბანკის“ საქმიანობის, ხარჯების, ფინანსური ან საკონტრაქტო გარიგებების ან სხვა შეთანხმებების, ტრანზაქციების ან საქმიანი ურთიერთობების შესახებ, რომელიც შესაძლოა მათთვის გახდეს ცნობილი. მათ უნდა მიმართონ ყველა გონივრულ ზომას, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნება ან გაცხადება აღნიშნულ საკითხებზე.

- 12.2 იმ შემთხვევაში თუ სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას “ბანკის” შერწმის, მის მიერ სხვა კომპანიის შესყიდვის ან სხვა მსგავსი გარიგების დადების შესახებ, ღირეჭტორატი უფლებამოსილი იქნება მიაწოდოს (ასეთი გარიგების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელ ფარგლებში) კონფიდენციალური ინფორმაცია შესაბამის კონტრაგენტს, მის მრჩეველს, კონსულტანტს ან აგენტს, რომლებიც თავიანთი მოვალეობებიდან გამომდინარე ნამდვილად საჭიროებენ აღნიშნული კონფიდენციალური ინფორმაციის ცოდნას და რომელთაც ეცნობება ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ.
- 12.3 კონფიდენციალურობის ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ შეეხება იმ ინფორმაციას, რომელიც: (ა) შესაბამისი კანონის თანახმად ითვლება საჯარო ინფორმაციად და ექვემდებარება გაცხადებას; (ბ) საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა სხვა (არა „ბანკთან“ დაკავშირებული) წყაროებიდან.
- 12.4 ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება “ბანკის” რომელიმე აქციონერს, და რომელმაც, სამეთვალყურეო საბჭოს აზრით შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს აქციონერთა საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, აუცილებლად იმავე მოცულობით უნდა ეცნობოს “ბანკის” დანარჩენ აქციონერებსაც.

### **მუხლი 13 „ბანკის“ საქმიანობის შეწყვეტა**

- 13.1 “ბანკის“ საქმიანობის შეწყვეტა ხდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 13.2 საქმიანობის შეწყვეტისა და/ან საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში, ხდება “ბანკის” ლიკვიდაცია. ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი ეროვნული ბანკის მიერ და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაუშვებელია „ბანკთან“ დაკავშირებული პირის ლიკვიდატორად დანიშვნა.
- 13.3 “ბანკის“ საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის (შერწყმის, გამოყოფის, გაყოფის, გარდაქმნის) ან ლიკვიდაციის გზით. “ბანკის” რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი ყველა უფლება და მოვალეობა გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს.

### **მუხლი 14 ფილიალები**

„ბანკს“ შეუძლია, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დააარსოს ფილიალები საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ. ფილიალის შექმნა უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესით და პირობებით.

### **მუხლი 15 დასაკმენი დებულებები**

- 15.1 წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის დღიდან.
- 15.2 თუ წესდების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს გავლენას არ მოახდენს სხვა დებულებათა ნამდვილობაზე. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო იოლად მიიღწევა “ბანკის” მიზანი.
- 15.3 წინამდებარე წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს მიენიჭებათ უპირატესობა წინამდებარე წესდების დებულებებთან მიმართებაში.

15.4 „ბანკის“ აქციონერებსა და მის ორგანოებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავის შემთხვევაში, რაც უკავშირდება წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ან წინამდებარე წესდების დებულებების განმარტებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია მიმართოს შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს.

15.5 წინამდებარე წესდება შედგენილია ექვს თანაბარუფლებიან ეგზემპლარად.

ს.ს. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი:

.....

ირაკლი გილაური